შვედეთი
Sverige

ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

იანვარი 2026

მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი 2024

ავტორები:
მარიამ ლობჯანიძე
დავით კეშელავა
ელენე სეთურიძე

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსი არის ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობა და არცერთ შემთხვევაში არ ასახავს შვედეთის პოზიციას.

მიმოხილვა

მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარება საქართველოში მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. თბილისში ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 1/3, იქმნება მშპ-ის 53% და ქალაქი ზრდას განაგრძობს. ეს კი იმის ფონზე, რომ მუნიციპალიტეტებში, გამონაკლისის გარდა, მოსახლეობის რაოდენობა მცირდება, სიღარიბის და უმუშევრობის დონე მაღალია და ეკონომიკა ნელა ვითარდება. საქართველოს მოსახლეობის 45.6% სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა ცხოვრობს, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეში 8.3 აშშ დოლარს ან ნაკლებს მოიხმარს (2021 წლის მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით)[1]. ადამიანთა კეთილდღეობისათვის, ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, სიღარიბისა და საცხოვრებელი პირობების განმსაზღვრელი არაეკონომიკური ფაქტორებიც მნიშვნელოვანია. ბიზნესისა და ადამიანებისთვის კონკრეტული ადგილის მიმზიდველობას განსაზღვრავს არა მხოლოდ ეკონომიკური შესაძლებლობები, არამედ ცხოვრების ხარისხის განმსაზღვრელი სხვა ფაქტორებიც: სოციალური ფაქტორები, მმართველობა, დაკავშირებულობა (connectivity) და სხვ. ამიტომ საქართველოს მუნიციპალიტეტებში ცხოვრების ხარისხის განმსაზღვრელ ინდიკატორებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია, რადგან საშუალებას გვაძლევს აღმოვფხვრათ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორები. ამ ინდიკატორებზდე დაკვირვება დაეხმარება დაინტერესებულ მხარეებს, უკეთ დაგეგმონ ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობის პროგრამები. ეს ხელს შეუწყობს კონკურენციასაც, რაც გააუმჯობესებს გარემოს ადგილობრივი განვითარებისთვის (ინდექსის საფუძვლად არსებული რაციონალისა და მეთოდოლოგიური ჩარჩოს შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ, მე-9 გვერდზე).

მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი 2024

მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი ყოვლისმომცველი და თანმიმდევრული ინსტრუმენტია, რომელიც აფასებს და ერთმანეთს ადარებს საქართველოს მუნიციპალიტეტებში ადგილობრივ საცხოვრებელ პირობებს. ამ ნაშრომში ვიყენებთ 2024 წლის მონაცემებს, რითიც ინდექსი უკვე აღარ არის მხოლოდ ერთი წლის აღწერა და გვთავაზობს პირველ წლიურ შედარებას 2023 წლის საბაზისო მონაცემებთან. მიუხედავად იმისა, რომ ინდექსის მაჩვენებლისა და რეიტინგების ცვლილებები მეტწილად ზომიერია, მიღებული შედეგები მუნიციპალიტეტებსა და ძირითად მიმართულებებს შორის საინტერესო ცვლილებებსაც გვთავაზობს, ეს კი მუდმივი უთანასწორობისა და ცვლილებების ადრეულ ნიშნებზე მეტყველებს.

მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი ზომავს და ადარებს ცხოვრების ხარისხსა და დონეს საქართველოს მუნიციპალიტეტებს შორის. 2024 წლის ცხოვრების ხარისხის ინდექსი მერყეობს უმაღლესი 66.66-დან, რომელიც დედაქალაქ თბილისმა მიიღო, უმცირეს 27.41-მდე, რომელიც ლენტეხის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა. 1-ელი გრაფიკი აჩვენებს 64 მუნიციპალიტეტის რეიტინგს. ინდექსში თბილისის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია, მას მოსდევს ბათუმი, დანარჩენ მუნიციპალიტეტებს შორის განსხვავებები კი შედარებით უმნიშვნელოა. საშუალო ინდექსის მაჩვენებელი 40.50-ს შეადგენს, 23 მუნიციპალიტეტში ფიქსირდება საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი, ხოლო 41 მუნიციპალიტეტში – საშუალოზე დაბალი.

[1] წყარო: საქსტატი, 2024 წელი

გრაფიკი 1. ცხოვრების ხარისხის ინდექსი მუნიციპალიტეტების მიხედვით



შეფასების მიხედვით, საქართველოში ცხოვრების ხარისხი ყველაზე მაღალი არის თბილისში. დედაქალაქი ლიდერობს ოთხივე მიმართულებით და მთლიანობაში აღწევს 66.66 ინდექსის პუნქტს. თბილისმა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 78.21 ინდექსის პუნქტი - ეკონომიკის მიმართულებით მიიღო, ყველაზე დაბალი კი – დემოგრაფიასა და სოციალურ ხელმისაწვდომობაში, რისი მიზეზიც მოსახლეობის მაღალი რაოდენობაა.

თბილისს მოსდევს ბათუმი 13.99 ინდექსის პუნქტის სხვაობით, რაც მოსალოდნელი შედეგია. ბათუმში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ეკონომიკის მიმართულებით, ხოლო ყველაზე დაბალი – დემოგრაფიასა და სოციალურ ხელმისაწვდომობაში, რაც აიხსნება მოსახლეობის რიცხოვნობის მაღალი მაჩვენებლით.

მესამე ადგილზეა ყაზბეგი, 15.46 ინდექსის პუნქტის ჩამორჩენით თბილისთან მიმართებით და 1.47-ით – ბათუმთან. ყაზბეგში ყველაზე კარგი შედეგი ფიქსირდება ეკონომიკის მიმართულებით, რაც ძირითადად განპირობებულია ტურიზმის ინდიკატორების მაღალი მაჩვენებლით და შედარებით დაბალი სოციალური მოწყვლადობით. ყაზბეგში ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე მიმართულებებია ადგილობრივი დემოკრატია და გენდერული თანასწორობა და დემოგრაფია და სოციალური ხელმისაწვდომობა, სხვა მიმართულებებთან შედარებით.

პირველი 10 მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტი	რეიტინგი	ინდექსი	ეკონომიკა	დაკავშირებულობა, ინფრასტრუქტურა და სერვისები	დემოგრაფია და სოციალური ხელმისაწვდომობა	ადგილობრივი დემოკრატია და გენდერული თანასწორობა
თბილისი	1	66,66	78,21	63,58	51,69	73,17
ბათუმი	2	52,67	68,10	50,53	44,05	48,00
ყაზბეგი	3	51,20	77,39	46,84	39,74	40,83
ფოთი	4	49,78	65,88	34,13	36,43	62,68
რუსთავი	5	47,98	55,89	44,83	40,17	51,01
ბორჯომი	6	46,51	67,21	43,03	38,86	36,96
ქუთაისი	7	46,36	38,38	54,08	41,68	51,29
თელავი	8	45,55	49,47	49,58	30,19	52,95
მცხეთა	9	44,91	63,44	44,74	28,96	42,50
კასპი	10	44,81	51,43	47,59	35,90	44,34

მე-2 გრაფიკი ასახავს ცხოვრების ხარისხის საშუალო მაჩვენებელს თითოეული რეგიონისთვის (თბილისის გამოკლებით) და გამოყოფს რეგიონის შიგნით მუნიციპალიტეტებს, რომელთაც ყველაზე მაღალი და დაბალი მაჩვენებელი აქვთ. რეგიონებს შორის ყველაზე მაღალი ინდექსის საშუალო მაჩვენებელი (44.26) ფიქსირდება მცხეთა-მთიანეთში, სადაც ყაზბეგს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს, თიანეთს კი – ყველაზე დაბალი. მცხეთა-მთიანეთს მოსდევს შიდა ქართლი ცხოვრების ხარისხის ინდექსის საშუალო მაჩვენებლით (42.67), სადაც კასპს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს. ყველაზე

დაბალი საშუალო მაჩვენებელი აქვს რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონს (32.52), რაც ოდნავ დაბალია გურიის მაჩვენებელზე (37.81).

გრაფიკი 2. მუნიციპალიტეტები რეგიონებში ყველაზე მაღალი და დაბალი ცხოვრების ხარისხის ინდექსით (თბილისის გარდა)



მუნიციპალური ცხვორების ხარისხის ინდექსის 2024 წლის განახლება და 2023 წლის საბაზისო მონაცემები საშუალებას გვაძლევს საქართველოს მუნიციპალიტეტები პირველად შევადაროთ ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ წლიური ცვლილებები მუნიციპალიტეტების უმეტესობისთვის ზომიერია, 2024 წლის შედეგებმა აჩვენა, რომ ეკონომიკური აქტივობის, სერვისებზე ხელმისაწვდომობის, ინფრასტრუქტურაზე წვდომისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით ადრეული ცვლილებები შეინიშნება.

2023 და 2024 წლების შედარება გამოკვეთს მუნიციპალიტეტების ჯგუფს, რომელთაც ყველაზე მეტად გააუმჯობესეს ცხოვრების ხარისხის ინდექსი. ყველაზე დიდი პროგრესი შეინიშნება იმ მუნიციპალიტეტებში, რომლებიც საბაზისო წელს განაწილების ქვედა ნაწილში მოხვდნენ. მარნეულის პოზიცია ეროვნულ რეიტინგში 29 პუნქტით გაუმჯობესდა, რასაც თან ახლდა ინდექსის 7.9-პუნქტიანი ზრდა. ეს 2024 წლის ყველაზე დიდი გაუმჯობესება იყო. მსგავსი ზრდის ტენდენცია ჰქონდა მესტიასაც, რომელმაც, ასევე, 29 საფეხურით გააუმჯობესა რეიტინგი, ინდექსის ქულა კი – 4.2 პუნქტით. მარნეულსა და მესტიას მოჰყვებიან ტყიბული 25 პუნქტით და დუშეთი 19 პუნქტით, რაც შედარებითი მაჩვენებლების მნიშვნელოვან პროგრესზე მიუთითებს.

ამავდროულად, სტაბილური, მაგრამ ზომიერი პროგრესი აჩვენა განაწილების შუა ნაწილში მოხვედრილმა რამდენიმე მუნიციპალიტეტმაც. კასპმა, ხაშურმა და ზესტაფონმა 5-6 პოზიციით წაიწიეს წინ რეიტინგში, რაც ინდექსის 2-4 პუნქტით ზრდას ნიშნავდა. ეს ცვლილებები გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს არა სტრუქტურულ ცვლილებებთან, არამედ თანდათანობით გაუმჯობესებასთან, თუმცა მიუხედავად ამისა, აშკარაა საცხოვრებელი პირობების თანმიმდევრული გაუმჯობესება.

უნდა აღინიშნოს, რომ რეიტინგში ცვლილებებს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, განსაკუთრებით ინდექსის ადრეულ წლებში. მაგალითად, ხულოს ინდექსის ქულა თითქმის 3 პუნქტით გაიზარდა, მაშინ როდესაც რეიტინგში მცირე ვარდნა ჰქონდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ხულოს პროგრესი გადაწონა სხვა მუნიციპალიტეტების მიღწევებმა. საერთო ჯამში, 2024 წლის შედეგები რეიტინგის ქვედა ნაწილში მოხვედრილი მუნიციპალიტეტების კონვერგენციის ადრეულ ნიშნებზე მიუთითებს, თუმცა ამავდროულად გვაჩვენებს რამდენად საჭიროა მონიტორინგი, რათა შევძლოთ დორებითი რყევებისა და მდგრადი პროგრესის ერთმანეთისგან გარჩევა.

პირველი 10 გაუმჯობესება

მუნიციპალიტეტი	რეიტინგი 2023	ინდექსი 2023	რეიტინგი 2024	ინდექსი 2024	სხვაობა რეიტინგში	სხვაობა ინდექსში
მარნეული	62	31.52	33	39.46	29	7.94
მარტვილი	61	31.67	56	36.29	5	4.62
მესტია	50	37.10	21	41.29	29	4.19
კასპი	16	41.18	10	44.81	6	3.63
დუშეთი	38	38.19	19	41.36	19	3.17
ხაშური	18	41.03	12	44.05	6	3.02
ხულო	60	32.43	61	35.33	-1	2.90
ტყიბული	52	36.73	27	39.62	25	2.88
ბაღდათი	59	33.40	58	36.01	1	2.61
ზესტაფონი	20	40.66	15	42.87	5	2.21

2024 წლის შედეგები ადასტურებს, რომ ცხოვრების ხარისხში განსხვავებები მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე გამოხატული რჩება ეკონომიკური პირობებისა და დაკავშირებულობაზე, ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ამავდროულად, რამდენიმე მუნიციპალიტეტის – განსაკუთრებით მათი, რომლებიც საბაზისო წელს განაწილების ქვედა ნაწილში მოხვდნენ – ინდექსის საერთო ქულა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს ცვლილებები იმაზე მიუთითებს, რომ საცხოვრებელი პირობები სტატიკური არ არის და შეიძლება სხვადასხვაგვარად განვითარდეს სხვადასხვა ადგილას, შედარებით მოკლე დროშიც კი.

დროითი მწკრივის ამ ადრეულ ეტაპზე, წლიური ცვლილებები სიფრთხილით უნდა იქნას ინტერპრეტირებული. რეიტინგში ცვლილებები ნაწილობრივ ასახავს შედარებით მაჩვენებლებს და მუნიციპალიტეტებში ერთდროულ ცვლილებებს და არა სტრუქტურულ ტრანსფორმაციებს.

მიუხედავად ამისა, რიგი მუნიციპალიტეტების ინდექსის ქულის გაუმჯობესება წარმოადგენს საცხოვრებელი პირობების მოკლევადიანი ვარიაციის ემპირიულ მტკიცებულებას და ხაზს უსვამს რამდენად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის დონეზე არსებული სისტემური, შესადარებელი მონაცემები.

ინდექსი წელიწადში ერთხელ განახლდება, ამიტომ მისი ანალიტიკური ღირებულება შესადარებელი დაკვირვებების დაგროვებასთან ერთად დროთა განმავლობაში გაიზრდება. უფრო გრძელი დროითი მწკრივი საშუალებას მოგვცემს უფრო მკაფიოდ წარმოვაჩინოთ ტენდენციები, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ დროით გამოწვეული რყევები და მდგრადი ცვლილებები და უფრო მკაფიოდ შევაფასოთ მუნიციპალიტეტების ცხოვრების ხარისხის კონვერგენცია ან დივერგენცია.

2024 წლის განახლება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რამდენად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის დონეზე არსებული მონაცემების ხელმისაწვდომობისა და თანმიმდევრულობის გაუმჯობესება. გარემოსდაცვით პირობებთან, საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და სოციალურ შედეგებთან დაკავშირებული ინდიკატორების გაფართოება კიდევ უფრო გააძლიერებდა მომავალი გამოცემების ანალიტიკურ სიღრმეს და გააძლიერებდა ადგილობრივ დონეზე ცხოვრების ხარისხის დინამიკის გაგების ემპირიულ საფუძველს.

ცხოვრების ხარისხის გაზომვა: გლობალური მიდგომები და საქართველოს მუნიციპალური ინდექსის მეთოდოლოგია

ISET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა შეიმუშავა ცხოვრების ხარისხის განმსაზღვრელი ინდექსი საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის, სადაც საბაზისოდ აღებულია 2023 წელი. ინდექსი არის სანდო, გამჭვირვალე, მონაცემებზე დაფუძნებული და საიმედო ინსტრუმენტი, რომელიც ზომავს მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი საცხოვრებელი პირობების პროგრესს, და ადარებს მას ქვეყნის მასშტაბით.

საქართველოში მუნიციპალიტეტების დონეზე ერთგვაროვანი მონაცემების შეგროვება გამოწვევაა. მუნიციპალურ დონეზე მონაცემთა შეგროვების სტანდარტიზებული მიდგომის დანერგვა აუცილებელია თანმიმდევრულობისა და შესადარისობის უზრუნველსაყოფად. ერთიანი ჩარჩო დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური ტენდენციების მონიტორინგის უკეთეს საშუალებას იძლევა, რაც ხელს შეუწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას. საბაზისო დონის დადგენითა და მუნიციპალურ მონაცემებზე ყოველწლიური დაკვირვებით ინდექსს აქვს პოტენციალი გახდეს: (i) ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული და მონაცემებით გამყარებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, (ii) მუნიციპალიტეტების შედარების საშუალება საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით და, ამავდროულად წაახალისოს მუნიციპალიტეტებს შორის კონკურენცია; (iii) ინსტრუმენტი ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩასართავად, რათა ეფექტიანად მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივი განვითარების ხელშემწყობ პროცესებში.

ამჟამად საქართველოში არ არსებობს მსგავსი ინსტრუმენტი, რომელიც აგროვებს და/ან აერთიანებს მუნიციპალურ დონეზე არსებულ მონაცემებს და მუნიციპალიტეტების პროგრესის შედარების საშუალებას იძლევა. საქართველოში უკვე არსებობს ორი ინდექსი, რომელიც მუნიციპალიტეტებს სხვადასხვა ჭრილში აფასებს, თუმცა ამ ინდექსების მახასიათებლები და ფოკუსი განსხვავდება ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ინდექსისგან. ერთია **საქართველოს მუნიციპალიტეტების ინდექსი**[2], რომელიც მოიცავს 5 თვითმმართველ ქალაქსა და 20 მსხვილ მუნიციპალიტეტს, რომელთაც აფასებს სამი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით: მოქალაქეთა მომსახურება, მეწარმეობის მხარდაჭერა და მმართველობის საერთო ეფექტიანობა. მეორეა **ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი**[3], რომელიც მუნიციპალიტეტებს რამდენიმე მიმართულებით აფასებს. ესენია: საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება, ელექტრონული მმართველობა და მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება.

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ინდექსი ზომავს ცხოვრების ხარისხს მუნიციპალიტეტებში და წარმოადგენს ყოვლისმომცველ და მრავალგანზომილებიან მაჩვენებელს, რომელიც ოთხ ძირითად მიმართულებას მოიცავს. ესენია: (1) ეკონომიკა, (2) დაკავშირებულობა,

[2] **საქართველოს მუნიციპალიტეტის ინდექსი** შემუშავებული იქნა ახალი ეკონომიკური სკოლა-საქართველოს მიერ ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისათვის სამხრეთ კავკასიის ოფისთან თანამშრომლობით.

[3] **ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი** ერთობლივად შემუშავდა საკონსულტაციო და ტრენინგ ცენტრის (CTC), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) და მართვის სისტემების განვითარების ცენტრის (MSDC) მიერ, ღია საზოგადოების ფონდი საქართველოს (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით.

ინფრასტრუქტურა და სერვისები, (3) დემოგრაფია და სოციალური ხელმისაწვდომობა, (4) ადგილობრივი მმართველობა და გენდერული თანასწორობა, სადაც ადგილობრივი მმართველობის ძირითადი ცვლადი ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსია. ინდექსი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, რა პროგრესი აქვთ მუნიციპალიტეტებს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და მოწყვლადობის შემცირების მიმართულებით, ასევე, სად არის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და გაუმჯობესების პოტენციალი. ინდექსს შეუძლია ხელი შეუწყოს ჯანსაღ კონკურენციას მუნიციპალიტეტებს შორის პროგრესისა და მოსახლეობისთვის უკეთესი ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.

როგორ ზომავენ ცხოვრების ხარისხს მსოფლიოში

ცხოვრების ხარისხისა და განვითარების ინდექსები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ დონეზე. ეს ინდექსები ზომავს ცხოვრების ხარისხს, აფასებს განვითარების დონეს მინუციპალურ თუ რეგიონალურ დონეზე. მაგალითად, **მერსერის ცხოვრების ხარისხის რეიტინგი** და ეკონომისტის დაზვერვის განყოფილების (EIU) **გლობალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი** მსოფლიოს ქალაქებს აფასებს შემდეგი ფაქტორების მიხედვით: პოლიტიკური სტაბილურობა, ჯანდაცვა, განათლება, ინფრასტრუქტურა და კულტურული გარემო. შვედეთის **მრავალგანზომილებიანი რეგიონული სიღარიბის ინდექსი**[4] კი სიღარიბის შესაფასებლად გვთავაზობს ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს შემდეგ კრიტერიუმებს: ჯანმრთელობა, განათლება, დასაქმება და ძირითად რესურსებზე წვდომა.

ეროვნულ დონეზე ქვეყნები ინდექსს თავიანთი კონტექსტის გათვალისწინებით ადგენენ. მაგალითად, **ჩრდილოეთ მაკედონიის მუნიციპალური განვითარების ინდექსი** 80 მუნიციპალიტეტს შემდეგი მიმართულებებით აფასებს: (1) ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა და ეკონომიკა, (2) ჯანდაცვა, განათლება და სოციალური უსაფრთხოება, (3) კულტურა, სპორტი, უსაფრთხოება და გარემო. უკრაინის **სოფლის განვითარების ინდექსი** მოიცავს 24 რეგიონს და ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკურ, სოციალურ, ინფრასტრუქტურულ, დემოგრაფიულ და დასაქმების ფაქტორებზე. **ინდოეთის მუნიციპალური ინდექსი** 111 ქალაქს აფასებს სერვისებთან, ფინანსებთან, დაგეგმვასთან, ტექნოლოგიებსა და მმართველობასთან დაკავშირებული ფაქტორების საფუძველზე. ჩრდილოეთ ამერიკაში, აშშ-ის **საუკეთესო შტატების რეიტინგი** და კანადის **საუკეთესო საცხოვრებელი ადგილები** შემდეგ ინდიკატორებს იყენებს: ჯანდაცვა, ეკონომიკა, ხელმისაწვდომობა და გარემოს ხარისხი. ეს ინდექსები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საჯარო პოლიტიკის წარმართვაში, მოსახლეობის ინფორმირებასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების მხარდაჭერაში. ისინი ხელს უწყობენ რესურსების ეფექტიან განაწილებასა და სტრატეგიული გეგმების შემუშავებას, რომელთა მიზანიც მდგრადი და ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობაა.

[4] **შვედეთის მრავალგანზომილებიანი რეგიონული სიღარიბის ინდექსი** გახდა ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პირველადი შთაგონების წყარო საქართველოს მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსის შესამუშავებლად.

ცხოვრების ხარისხის ინდექსები

ინდექსი/რეიტინგი	დონე/დაფარვა	ძირითადი ფაქტორები
ჩრდილოეთ მაკედონიის მუნიციპალური განვითარების ინდექსი (UNDP)	ეროვნული, 80 მუნიციპალიტეტი	ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა, ეკონომიკა, ჯანდაცვა, განათლება და სოციალური უსაფრთხოება, კულტურა, სპორტი, უსაფრთხოება, გარემო
უკრაინის ტერიტორიული ერთეულების სოფლის განვითარების ინდექსი	ეროვნული, 24 რეგიონი	ეკონომიკა, სოციალური უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურა, დემოგრაფია, დასაქმება
ინდოეთის მუნიციპალური ინდექსი	ეროვნული, 111 ქალაქი	სერვისები, ფინანსები, დაგეგმარება, ტექნოლოგია, მმართველობა
მერსერის ცხოვრების ხარისხის რეიტინგი	გლობალური, 241 ქალაქი მსოფლიოში	პოლიტიკური სტაბილურობა, დანაშაულის მაჩვენებლები, ჯანდაცვის ხარისხი, განათლება, ინფრასტრუქტურა
გლობალური განვითარების ინდექსი (EIU)	გლობალური, 173 ქალაქი მსოფლიოში	სტაბილურობა, ჯანდაცვა, კულტურა და გარემო, განათლება, ინფრასტრუქტურა
საუკეთესო შტატების რეიტინგი (U.S. News & World Report, აშშ)	ეროვნული, შტატები	ჯანდაცვა, განათლება, ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა, შესაძლებლობები, ფისკალური სტაბილურობა, დანაშაულის მაჩვენებლები, გარემო
საუკეთესო საცხოვრებელი ადგილები (MoneySense, კანადა)	ეროვნული, 417 ქალაქი	ხელმისაწვდომობა, ჯანდაცვა, ეკონომიკა, ამინდი, დანაშაულის მაჩვენებლები
მრავალგანზომილებიანი რეგიონული სიღარიბის ინდექსი (შვედეთი)	გლობალური	სიღარიბე, დასაქმება, რესურსებზე წვდომა, სასურსათო უსაფრთხოება, ჯანმრთელობა, განათლება, სოციალური დაცვა

ISET-ის მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსის მეთოდოლოგია

ISET-ის კვლევით ინსტიტუტში 2021 წელს გაჩნდა ინდექსის შექმნის იდეა. მიზანი იყო მონაცემებზე დაფუძნებული ბაზის შექმნა, რომელიც შეაფასებს მუნიციპალიტეტების პროგრესს და გაზომავს მას ყოველწლიურად. შესაბამისი ჩარჩოს, ინდიკატორებისა და ხელმისაწვდომი მონაცემების განსაზღვრას დრო და ძალისხმევა დასჭირდა. 2025 წლის მარტში გამოქვეყნდა **ISET-ის მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი**, რომელიც 2023 წლის მონაცემებს ეფუძნება და არის საბაზისო მაჩვენებელი. ამჟამინდელი განახლება მოიცავს 2024 წლის შედეგებს. 2024 წლის მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი წარმოადგენს პირველ წელს როდესაც მუნიციპალიტეტების პროგრესის დინამიკის დაკვირვება ხდება.

ISET-ის მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი აერთიანებს ოთხ ძირითად მიმართულებას: (1) ეკონომიკა, (2) დაკავშირებულობა, ინფრასტრუქტურა და სერვისები, (3) დემოგრაფია და სოციალური ხელმისაწვდომობა, (4) ადგილობრივი დემოკრატია და გენდერული თანასწორობა. ოთხი მიმართულება იყოფა 11 ქვე-მიმართულებად და აერთიანებს არსებულ ეროვნულ წყაროებზე დაფუძნებულ 50 ინდიკატორს.

მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსის მეთოდოლოგია შედგება შემდეგი ფაზებისგან:

ინდიკატორების შერჩევა, შეგროვება და დამუშავება

ინდექსი მოიცავს მონაცემთა მრავალფეროვან ბაზებს. ესენია: (1) მეორეული მონაცემები მუნიციპალურ დონეზე, რომლებიც მოწოდებულია სხვადასხვა საჯარო ინსტიტუტის მიერ (მაგ.: საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და ა.შ.), (2) მუნიციპალური მონაცემები, რომლებიც მოწოდებულია ადგილობრივი ხელისუფლებებისგან, (3) მეორეული მონაცემები მუნიციპალურ დონეზე, რომლებიც შეგროვებულია კერძო სექტორისა (მაგ.: წამყვანი კერძო ბანკები, საწვავის მიმწოდებლები და ელექტრო ტექნიკის მაღაზიები) და სხვა წყაროებიდან (მაგ.: Google-ის რუკა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი). მონაცემები მუშავდება, გამოტოვებული მნიშვნელობები კი ივსება სტატისტიკური იმპუტაციის მეთოდების გამოყენებით.

მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსის შექმნა

მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსის შექმნა მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს: (1) ინდიკატორების ნორმალიზება; (2) ინდიკატორების აგრეგირება ქვე-მიმართულების დონეზე შეწონილი არითმეტიკული საშუალოს გამოყენებით, სადაც წონები გამოითვლება ძირითადი კომპონენტების ანალიზის (PCA) საფუძველზე; (3) ქვე-მიმართულებების აგრეგირება მიმართულების დონეზე არითმეტიკული საშუალოს გამოყენებით და თანაბრად შეწონით; (4) ინდექსი მიჰყვება შეწონის სისტემას, სადაც თითოეული მიმართულება საერთო წონის 25%-ს შეადგენს, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური, სოციალური, ინფრასტრუქტურისა და მმართველობის მიმართულებების დაბალანსებულ წარმოდგენას. მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი მერყეობს 0-დან 100-მდე, სადაც 100-თან უფრო ახლოს მყოფი მნიშვნელობა უფრო მაღალ ცხოვრების ხარისხთან ასოცირდება, ხოლო 0-თან უფრო ახლოს მყოფი

ძირითადი მიმართულება 1: ეკონომიკა (წონა: 25%)

ქვე-მიმართულება	ინდიკატორი	წყარო
ეკონომიკური აქტივობა	ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება (მლნ ლარი 1000 მოსახლეზე)	საქსტატი
	მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (მლნ ლარი 1000 მოსახლეზე)	საქსტატი
	დასაქმებულთა რაოდენობა ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით 1000 მოსახლეზე	საქსტატი
	დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი მუნიციპალიტეტების მიხედვით (ლარი)	საქსტატი
	მოსახლეობის წილი საქალაქო ტიპის დასახლებაში %	საქსტატი
	მშენებლობაზე გაცემული ნებართვები 1000 მოსახლეზე	საქსტატი
	დასრულებული ობიექტები 1000 მოსახლეზე	საქსტატი
	პორტების რაოდენობა	სამაგიდო კვლევა
	საბიუჯეტო ხარჯები (1000 ლარი 1000 მოსახლეზე)	საქსტატი; ფინანსთა სამინისტრო
	სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობა 1000 მოსახლეზე	საქსტატი
	ოთახების რაოდენობა სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში 1000 მოსახლეზე	საქსტატი
	სტუმრების რაოდენობა სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში 1000 მოსახლეზე	საქსტატი
	დასაქმებულთა რაოდენობა სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში 1000 მოსახლეზე	საქსტატი
სოციალური მოწყვლადობა	სოციალურად მოწყვლადი პირების წილი 1000 მოსახლეზე	საქსტატი
	ხანდაზმულთა დამოკიდებულების კოეფიციენტი (65 წელს გადაცილებული მოსახლეობის შეფარდება სამუშაო ძალასთან)	საქსტატი

ძირითადი მიმართულება 2: დაკავშირებულობა, ინფრასტრუქტურა და სერვისები (წონა: 25%)

ქვე-მიმართულება	ინდიკატორი	წყარო
კავშირი	მუნიციპალური ტრანსპორტის რაოდენობა 1000 მოსახლეზე	მუნიციპალიტეტები; საქსტატი
	მანძილი უახლოეს აეროპორტამდე (კმ)	Google-ის რუკა
	სარკინიგზო სადგურების რაოდენობა 1000 მოსახლეზე	საქართველოს რკინიგზა
სერვისები	ბაზრებისა და ბაზრობების რაოდენობა 1000 მოსახლეზე	საქსტატი
	იუსტიციის სახლების რაოდენობა	იუსტიციის სახლი
	ბანკის ფილიალების რაოდენობა (თიბისი, საქართველოს ბანკი, ლიბერთი) 1000 მოსახლეზე	თიბისი ბანკი, საქართველოს ბანკი, ლიბერთი ბანკი
	ბენზინგასამართი სადგურების რაოდენობა 1000 მოსახლეზე	ვისოლი, გალფი, რომპეტროლი, ლუკოილი, სოკარი
	ელექტრო ტექნიკის მაღაზიების რაოდენობა 1000 მოსახლეზე	ელიტ ელექტრონიკსი, მეგატექნიკა, ალტა
	ნაგვის ურნების რაოდენობა 1000 მოსახლეზე	მუნიციპალიტეტები
	ნაგვის მანქანების რაოდენობა ერთ ნაგვის ურნაზე	მუნიციპალიტეტები
ინფრასტრუქტურა	გაზიფიკაცია %	საქსტატი
	სუფთა წყალზე წვდომა (წყალმომარაგების სისტემა ბინაში) %	საქსტატი

ძირითადი მიმართულება 3: დემოგრაფია და სოციალური ხელმისაწვდომობა (წონა: 25%)

ქვე-მიმართულება	ინდიკატორი	წყარო
დემოგრაფია	მოსახლეობაში ახალგაზრდების (15-24) წილი	საქსტატი
	შობადობის მაჩვენებელი (დაბადებულთა რაოდენობა 1000 მოსახლეზე)	საქსტატი
	65 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში	საქსტატი
ჯანდაცვა	საავადმყოფოებში საწოლების რაოდენობა 1000 მოსახლეზე	საქსტატი
	საავადმყოფოებისა და სამედიცინო ცენტრების რაოდენობა 1000 მოსახლეზე	საქსტატი
	ჯანდაცვის პერსონალის რაოდენობა (ექიმები, ექთნები) 1000 მოსახლეზე	საქსტატი
	ექიმთან ვიზიტების რაოდენობა 1000 მოსახლეზე	საქსტატი
	5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი	საქსტატი
განათლება	საჯარო სკოლამდელ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვების საშუალო რაოდენობა ერთ მასწავლებელზე	საქსტატი
	სკოლების რაოდენობა 1000 მოსახლეზე	საქსტატი
	უნივერსიტეტების რაოდენობა	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; საქსტატი
	პროფესიული განათლების დაწესებულებების რაოდენობა	საქსტატი
სპორტი, რეკრეაცია და კულტურა	მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობიდან პარკების ფართობის წილი	მუნიციპალიტეტები; საქსტატი
	სპორტული ობიექტები, ინფრასტრუქტურა (მოედნები, სტადიონები, საცურაო აუზები და ა.შ.) 1000 მოსახლეზე	მუნიციპალიტეტები; საქსტატი
	თეატრებისა და მუზეუმების რაოდენობა	საქსტატი

ძირითადი მიმართულება 4: ადგილობრივი დემოკრატია და გენდერული თანასწორობა (წონა: 25%)

ქვე-მიმართულება	ინდიკატორი	წყარო
ადგილობრივი დემოკრატია	აქტივობა ეროვნულ არჩევნებში %	საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
	პოლიტიკური პარტიების რაოდენობა ადგილობრივ საკრებულოში	მუნიციპალიტეტები
	ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
	არჩევნების ჰერფინდალ-ჰირშმანის (HHI) ინდექსი 2024	ავტორების გამოთვლები საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მონაცემებზე დაყრდნობით
	ადგილობრივი მედია	კომუნიკაციების კომისია
გენდერული თანასწორობა	ქალების წარმომადგენლობა ადგილობრივ თვითმმართველობაში	მუნიციპალიტეტები
	ქალებზე რეგისტრირებული ბიზნესების წილი %	საქსტატი
	ქალებზე რეგისტრირებული უძრავი ქონების წილი %	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (NAPR)

გამოყენებული ლიტერატურა

Elliott, D. (2024). *"Best States" Why Utah is the best state.*

Mercer. (2024). *Quality of Living City Ranking 2024.*

Sida. (2017). *Dimensions of Poverty Sida's Conceptual Framework.*

The Economist Intelligence Unit Limited. (2023). *The Global Liveability Index 2023.*

The Economist Intelligence Unit Limited. (2024). *The Global Liveability Index 2024 – The World's most liveable Cities.*

დანართები

დანართი 1. მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი მიმართულებების მიხედვით

მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი ეკონომიკის მიმართულების მიხედვით



მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი დაკავშირებულობის, ინფრასტრუქტურის და სერვისების მიმართულების მიხედვით



მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი დემოგრაფიისა და სოციალური წვდომის მიმართულების მიხედვით



მუნიციპალური ცხოვრების ხარისხის ინდექსი ადგილობრივი დემოკრატიისა და გენდერული თანასწორობის მიმართულების მიხედვით



ISET-ის კვლევით ინსტიტუტზე

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი არის მიუკერძოებელი, სამეცნიერო, ეკონომიკური კვლევითი ცენტრი, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკის სფეროში მაღალი ხარისხის, აკადემიურად დასაბუთებული კვლევების ჩატარებაზე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მუშაობა ეფუძნება სამეცნიერო სტანდარტებსა და მეთოდებს.

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტს ეკონომიკური ინდექსების და სამეცნიერო კვლევითი პუბლიკაციების ფართო პორტფელი აქვს. იგი ახორციელებს ტექნიკურ, ეკონომიკურ და სექტორულ ანალიზებს, ასევე აღწერით და შედარებით კვლევებს. ინსტიტუტი ქმნის და იყენებს მოწინავე ეკონომიკურ და რაოდენობრივ-ანალიტიკურ ინსტრუმენტებს და მონაცემთა ანალიზის მეთოდებს.

2011 წლიდან, დაარსების დღიდან, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი იქცა ერთ-ერთ ყველაზე სანდო ეკონომიკურ ანალიტიკურ ცენტრად, რომელიც ცნობილია თავისი აკადემიური კეთილსინდისიერებით, მეთოდოლოგიური სიზუსტითა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული კვლევებით.

ინსტიტუტში მუშაობენ ეკონომისტები და მკვლევრები, რომელთა კვლევითი საქმიანობა მოიცავს მრავალფეროვან თემატიკას. სამეცნიერო საქმიანობის დიდი ნაწილი ხორციელდება საერთაშორისო ანალიტიკურ ცენტრებთან, აკადემიურ ინსტიტუტებსა და სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით.

ISET

ISET POLICY INSTITUTE
www.iset-pi.ge
iset-pi@iset.ge
+995 322 507 177